



*Konstanty Ildefons
Gałczyński*

*კონსტანტი ილდეფონს
გალჩინსკი*





„ეროვნული მწერლობა“
თბილისი
2004 ..

**ZWIĄZEK KULTURALNO-OŚWIATOWY
POLAKÓW W GRUZJI
„POLONIA“**

**KONSTANTY ILDEFONS
GAŁCZYŃSKI**

FARLANDIA

Tbilisi 2004

საქართველოს კოლონელთა
კულტურულ-საგანმანათლებლო
კავშირი „POLONIA“

კონსტანტი ილდეფონს
გალჩინსკი

უმრეული მხარე

თბილისი 2004

კონსტანტი ილდეფონს გალჩინსკი (1905-1953) პოლონურ პოეზიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. პოლონეთის ისტორიის დრამატიზმით აღსავსე წლებში, როგორც ომის დროს, აგრეთვე ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც პოლონეთში უმკაცრესი ცენზურა მძვინვარებდა, იგი საკუთარ თავისუფალ და თავისებურ მუხას ემსახურებოდა. გალჩინსკი დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი ფანტაზიის უნარით. მის პოეზიაში ვხვდებით გამოგონილ და რეალურ პერსონაჟებს, რომლებსაც ვერსად ვერ შევხვდებით მისი პოეტური სამყაროს გარდა. გალჩინსკის ყველაზე ცნობილი პოემებებია: „მეკლისი სოლომონთან“ (1933), „ნიობა“ (1951) და „ვიტ სტეფანი“ (1952).

ტომში შევიდა ლექსები, თარგმნილი სამი ოსტატის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, რუსუდან ჭანტურიშვილის, პოეტისა და მთარგმნელის ნათელა გავაშელის და აგრეთვე ცნობილი ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანაძის მიერ, რომელმაც გამოიმკვმოლა „მერანში“ 1971 წელს გამოსცა გალჩინსკის ლექსების საკუთარი თარგმანების კრებული.

Konstanty Ildefons Gałczyński (1905-1953) to niezwykła postać w historii polskiej poezji. Niezależnie od zmieniających się czasów i burzliwych wydarzeń historycznych służył on zawsze swej wolnej, ekscentrycznej, a czasem i dziwacznej Muzie, zachowując niepowtarzalny charakter swojej twórczości. Był obdarzony niezwykłą fantazją. W jego poezji spotykają się postacie rzeczywiste i wymyślone, które tworzą jedyny w swoim rodzaju świat poety i nigdzie poza tym światem się nie spotykają.

Najsłynniejsze poematy K.I.G. to: *Bal u Salomona* (1933), *Niobe* (1951) i *Wit Szwosz* (1952). Na ten tom składają się przekłady trzech tłumaczy – docenta Państwowego Uniwersytetu w Tbilisi, Rusudan Czanturiszwili, gruzińskiej polonistki, a zarazem poetki, Nateli Gawaszeli, a także tłumaczenia znanego, nieżyjącego już poety, Szoty Nisznianidze, który w 1971 roku wydał swój zbiór przykładów Gałczyńskiego w wydawnictwie „Merani”.

შემდგენელი, რედაქტორი

და წინათქმის ავტორი:

პროფ. მარიამ ფილინა

Wybór wierszy, wstęp i redakcja: prof. Maria Filina

ბჭკარელების შემდგენელი:

დოც. ნათელა ნადიბაიძე,

მარინა ნადიბაიძე

Przekład filologiczny:

docent Natela Nadibaidze,

Marina Nadibaidze

გამოცემულია საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს თანამონაწილეობით.

Tom został wydany dzięki pomocy Ambasady RP w Tbilisi.

ISBN 99940-0-082-9

წინათქმა

კონსტანტი ილდეფონს გალჩინსკის ლექსების ორენოვანი (პოლონურ-ქართული) გამოცემა აგრძელებს პოლონური პოეზიის ქართველი მკითხველისთვის მიწოდების ტრადიციას, რომელიც ადამ მიცკევიჩის, იულიუშ სლოვაკის და ვისლავა შიმბორსკას ლექსების გამოცემით დაიწყო.

კ.ი. გალჩინსკი პოლონურ პოეზიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. პოლონეთის ისტორიის დრამატიზმით აღსავსე წლებში, როგორც ომის დროს, აგრეთვე ომისშემდგომ პერიოდში, როდესაც პოლონეთში უმკაცრესი ცენზურა მძვინვარებდა, იგი საკუთარ თავისუფალ და თავისებურ მუზას ემსახურებოდა. გალჩინსკი დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი ფანტაზიის უნარით. მის პოეზიაში კვხვებით გამოგონილ და რეალურ პერსონაჟებს, რომლებსაც ვერსად ვერ შევხვდებით მისი პოეტური სამყაროს გარდა.

გალჩინსკი ის შემოქმედია, რომელსაც ვერც ერთ პოეტურ სკოლას ვერ მიაკუთვნებ. იგი აღსავსე იყო წინააღმდეგობებით, იყო მისტიფიკატორი, პოეტი-აბსურდისტი, სატირიკოსი და ამავე დროს უნატიფესი ლირიკოსი, რომლის პოეზია დღემდე ალელვებს მკითხველს.

2003 წელი პოლონეთში გალჩინსკის წლად იყო გამოცხადებული, ხოლო 2005 წელს პოეტის დაბადების 100 წელი აღინიშნება.

კონსტანტი გალჩინსკი, რომელმაც თავის სახელს მის მიერ გამოგონილი ფსევდონიმი „იდეფონსი“ დაუმატა, დაიბადა ვარშავაში 1905 წელს. 1914-1918 წლებში იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვში. 1923 წელს მან ჩააბარა ვარშავის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ არ დაამთავრა იგი. ამის მიუხედავად უნივერსიტეტის პრიფესორ-მასწავლებლებს დაამხსოვრდათ სტუდენტი გალჩინსკი: 1926 წელს მან წაიკითხა მოხსენება XV საუკუნის ინგლისელი პოეტის გორდონ მორის ჩეტსის შესახებ. შემდგომში გამოირკვა, რომ ასეთი პოეტი არ არსებობდა და გალ-

ჩინსკის მოგონილი იყო. ჯერ კიდევ მაშინ გამომჟღავნდა გალჩინსკი-მისტიფიკატორის ნიჭი, რაც მას მეტად ძვირად დაუჯდა: სწავლული მამები განრისხდნენ, რომ ისინი აიძულეს ემსჯელათ არარსებული პოეტის შესახებ და ეს გახდა მისი უნივერსიტეტიდან გარიცხვის ერთ-ერთი მიზეზი.

მაგრამ გალჩინსკი მაინც აგრძელებდა ამგვარ ხუმრობებს და როდესაც ე.წ. „ოფიცერთა სკოლაში“ სწავლობდა, კითხვაზე: „რა არის ქვემეხი?“ უპასუხა: „ემმაკის იარაღი“. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ სამხედრო სამსახური მან რიგითად დაასრულა.

ამ პერიოდისთვის გალჩინსკი უკვე მრავალ გამოცემაში იბეჭდებოდა და არტისტული ბოჰემის ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურად იქცა. ერთხანს იგი რეფერენტად მუშაობდა პოლონეთის გენერალურ საკონსულოში ბერლინში. პოლონეთის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ ზეიმზე პოეტი გამოვიდა ტრიბუნაზე, ამოიღო ყოველწლიური სტატისტიკური ცნობარი, დამსწრე საზოგადოებას ციფრების კორიანტელი დააფრქვია და გამოსვლა შემდეგი ფრაზით დაასრულა: „ციფრების ენის წინაშე პოეტის სიტყვა უძლურია“.

1930 წელს გალჩინსკიმ ცოლად შეირთო ნატალია ავალოვა (ავალიშვილი) ძველი ქართული არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი. ქართულ-პოლონური ლიტერატურულ ურთიერთობებში ეს ამბავი სამწუხაროდ იშვიათად მოიხსენიება. მიუხედავად ამისა, ეს მეტად მნიშვნელოვანია. „ვერცხლისფერი ნატალია“ მისი მრავალი ლექსის მუზად იქცა. და ამგვარად, XX საუკუნის პოლონური სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი პოლონელი პოეტისა და ქართველი თავადის კავშირს უნდა უმაღლოდეს. ნატალიას და კონსტანტის ცხოვრება არ იყო იოლი, მაგრამ ნატალიამ მასთან ერთად განვლო მძიმე გზა და ბედუკუდმართობის ჟამს მუდამ პოეტის გვერდით იყო.

მეორე მსოფლიო ომის წლები გალჩინსკიმ ტყვეთა ალტენგრაბეს ბანაკში გაატარა, სადაც დაწერა ლირიკული და დრამატიზმით აღსავსე ლექსები. გათავისუფლების შემდეგ ის ემიგრაციაში ცხოვრობდა პარიზში, რომსა და ბრიუსელში. პოლონეთში გავრცელდა ხმა, რომ იგი ცოცხალი აღარ იყო. „თიგოლნიკ პოვშეხნიმ“ სიკვდილის შემდგომი

მოგონებებიც კი გამოაქვეყნა. სამშობლოში გალჩინსკი 1946 წელს დაბრუნდა და ომის შემდგომ ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაება. იგი იმ მცირე შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც აღმერთებდა პოეზიის ურიცხვი თაყვანისმცემელი პოლიტიკური და ესტეტიკური შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად.

გალჩინსკის ყველაზე ცნობილი პოემებია: „მეჯლისი სოლომონთან“ (1933), „ნიობეა“ (1951) და „ვიტ სტვოში“ (1952). მისი ხმით მეტყველებდა თვით პოეზია - თავისუფალი, ჭირვეული, ჰუმანური და თავნება.

ომის შემდეგ გალჩინსკი ცოტა ხნით დაუკავშირდა კრაკოვის კაბარეს „შვიდი კატა“. ეს იყო „პშეკრუს“ მთავარი რედაქტორის მარიან ჰეილის ინიციატივით შექმნილი თეატრი. 1946-1950 წლებში ამ ყოველკვირეულის ფურცლებზე პოეტი აქვეყნებდა თავის მინისტცენებს და სკეტჩებს სერიიდან „მწვანე ბატი“. გალჩინსკის ესთეტიკური შეხედულებანი, მისი სიურეალისტური იუმორი, აბსურდისტული პერსონაჟები და სიტუაციები არ თავსდებოდნენ სოცრეალიზმის კანონებში. მალე პოეტი კრიტიკის ობიექტად იქცა, მას „წვრილმეშჩანობასა“ და „ანტისაზოგადოებრივ“ მოღვაწეობაში სდებდნენ ბრალს. „მწვანე ბატმა“ შეწყვიტა არსებობა.

ცხოვრების უკანასკნელ წლებში გალჩინსკი ვარშავის მახლობლად ანინში ცხოვრობდა, ხოლო ზაფხულის თვეებს პრანაში აგარაკზე ატარებდა. სწორედ აქ შეიქმნა ამ პერიოდის საუკეთესო ლექსები და პოემები. პოეტი მოულოდნელად გარდაიცვალა 1953 წლის 6 დეკემბერს ვარშავაში.

ამ ტომში გალჩინსკის ლირიკა და პოემები არჩევით არის წარმოდგენილი. მაგრამ ჩვენ შევეცადეთ გაგვეცნო მკითხველისათვის მისი პოეზიის ყველა ჟანრი. კრებულში, აგრეთვე, წარმოდგენილია პოეტის შემოქმედების ყველა პერიოდი - დაწყებული ადრეული ლექსებიდან - ბოლო, ფილოსოფიური ეტაპის ჩათვლით. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა თარგმანებში მისი პოეზიის ყველა თემატური თავისებურება - ნაწყვეტები ეპიკური პოემებიდან, სატირა, სატრფიალო ლექსები, ფილოსოფიური ლირიკა და პოეტური მისტიფიკაციები.

ტომში შევიდა ლექსები, თარგმნილი სამი ოსტატის მიერ -

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, რუსუდან ჭანტურიშვილის, პოეტისა და მთარგმნელის ნათელა გავაშელის და აგრეთვე ცნობილი ქართველი პოეტის, შოთა ნიშნიანიძისა, რომელმაც გამომცემლობა „მერანში“ 1971 წელს გამოსცა გალჩინსკის ლექსების საკუთარი თარგმანების კრებული.

ერთ-ერთ თავის ცნობილ ლექსში გალჩინსკი უანდერძებს მომავალ თაობას, რომ მის ეპიტაფიად მიიღონ სიტყვები: „ღირიკა, ღირიკა, მსუბუქი დინამიკა“. ჩვენ გვსურს, რომ ქართველმა მკითხველმა გალჩინსკის პოეზიის პოლონელ მკითხველთან ერთად შეიგრძნოს მისი ღირიკის ცოცხალი დინამიკა და ვიმედოვნებთ, რომ ძალიან მალე ჩვენი ორენოვანი გამოცემების მეშვეობით შედგება ახალი შეხვედრა პოლონურ პოეზიასთან.



WPROWADZENIE

Adam Mickiewicz, Juliusz Słowacki, Wisława Szymborska i wreszcie Konstanty Ildefons Gałczyński – w takiej kolejności ukazały się nasze dwujęzyczne zbiory poezji polskiej w języku ojczystym i tłumaczeniach na język gruziński.

Konstanty Ildefons Gałczyński to niezwykła postać w historii polskiej poezji. Niezależne od zmieniających się czasów i burzliwych wydarzeń historycznych służył on zawsze swej wolnej, ekscentrycznej, a czasem i dziwacznej Muzie, zachowując niepowtarzalny charakter swojej twórczości. Był obdarzony niezwykłą fantazją. W jego poezji spotykają się postacie rzeczywiste i wymyślone, które tworzą jedyny w swoim rodzaju świat poety i nigdzie poza tym światem się nie spotykają.

K.I.G. to twórca, którego nie da się zaklasyfikować do żadnej szkoły poetyckiej. Człowiek pełen sprzeczności: mistyfikador, poeta absurdu, satyryk, błazen, a zarazem najgłębszy liryk, który nadal porusza serca czytelników.

Rok 2003 ogłoszony został w Polsce *Rokiem Gałczyńskiego*, a w roku 2005 obchodzone będzie 100-lecie urodzin poety.

Konstanty Gałczyński, który dodał do swego imienia wymyślone *Ildefons*, urodził się w 1905 roku w Warszawie. W latach 1914-18 mieszkał z rodzicami w Moskwie. W 1923 roku rozpoczął studia na wydziale filologii angielskiej Uniwersytetu Warszawskiego. Studiów tych jednak nie ukończył. Do dziś krąży po Uniwersytecie opowieść o tym, jak student Gałczyński wygłosił w Kole Anglistów referat o życiu i twórczości nieznanego XV-wiecznego szkockiego poety Gordona Morrisa Cheatsa. Jak się okazało, poeta ów był jedynie tworem wyobraźni młodego anglisty. Wkrótce, bynajmniej

nie z powodu owego wystąpienia, skreślono Gałczyńskiego z listy studentów.

W wojsku K.I.G. wstąpił się między innym tym, że na pytanie, co to jest karabin, odpowiedział z przekonaniem: „Narzędzie szatana!”. Za to, między innymi, został karnie wydalony z Podchorążówki i zakończył służbę jako prosty żołnierz.

W latach 20. K.I.G. związał się z warszawską cyganerią artystyczną. Był doskonałym interpretatorem swoich wierszy. Na jego wieczory autorskie przychodziły tłumy wielbicieli.

Przez pewien czas pracował jako referent kulturalny konsulatu Generalnego RP w Berlinie. Podczas jednej z uroczystości z okazji Święta Niepodległości poeta wszedł na podium, wyciągnął *Rocznik Statystyczny* i zarzucił słuchaczy potokiem wyliczeń, po czym zakończył zdaniem: „Wobec wymowy liczb, milkną słowa poety”.

W 1930 roku Gałczyński poślubił Natalię Awałów (Awaliszwili), księżniczkę gruzińską ze starego rodu Borżomich. Rzadko wspomina się ten wątek literackich kontaktów polsko-gruzińskich. Jest on jednak bardzo istotny, ponieważ „srebrna Natalia” stała się muzą niezliczonej ilości wierszy. Tak więc, jedna z najpiękniejszych kart polskiej poezji miłosnej XX wieku jest owocem związku polskiego poety i gruzińskiej arystokratki. Niełatwe było życie Natalii z Konstantym, a jednak trwała przy nim wiernie, towarzysząc mu we wszystkich trudnych sytuacjach życiowych.

II wojnę światową spędził Gałczyński w obozie jenieckim w Altengrabow, gdzie napisał wzruszające, dramatyczne wiersze. Po wyzwoleniu udał się do Paryża, potem do Rzymu i Brukseli. W Polsce rozeszła się pogłoska, że K.I.G. nie żyje. *Tygodnik Powszechny* wydrukował nawet pośmiertne wspomnienie o nim.

Gałczyński powrócił do kraju w marcu 1946 r. i włączył się w nurt powojennego życia literackiego. Należał wtedy do nielicznych twórców uwielbianych przez bardzo szerokie rzesze czytelników,

niezależnie od ich poglądów politycznych i estetycznych.

Najstynniejsze poematy K.I.G. to: *Bal u Salomona* (1933), *Niobe* (1951) i *Wit Stwosz* (1952). Jego głosem zawsze przemawiała sama Poezja – wolna, kapryśna, ludzka, nieposłuszna.

Po wojnie K.I.G. związał się na krótko z krakowskim kabaretem „Siedem Kotów”. Była to scena satyryczna, która powstała z inicjatywy Mariana Eilego, ówczesnego redaktora naczelnego *Przekroju*. W latach 1946-50 na łamach tego tygodnika poeta publikował mini-scenki oraz skecze z serii „Teatrzyk Zielona Gęś”. Wrażliwość estetyczna, surrealistyczny humor, absurdalne postacie i sytuacje zupełnie nie mieściły się w kanonach obowiązującego wówczas socrealizmu. Wkrótce też Gałczyński stał się obiektem ataków – ideologowie partyjni zarzucili mu „drobnomieszczaństwo” i „szkodnictwo społeczne”. „Teatrzyk Zielona Gęś” przestał się ukazywać.

Ostatnie lata życia K.I.G. spędził w podwarszawskim Aninie, zaś letnie wakacje spędzał chętnie w leśniczówce Pranie. Tutaj powstały najpiękniejsze wiersze i poematy z tego okresu. Gałczyński zmarł nagle 6 grudnia 1953 roku w Warszawie.


Oczywiście w naszym tomiku liryka K.I.G. jest przedstawiona wybiórczo. Staraliśmy się jednak wybrać te gatunki literackie, które są najbardziej charakterystyczne dla Gałczyńskiego. W zbiorze tym zostały przedstawione wszystkie okresy twórczości poety – poczynając od młodzieńczego, po ten ostatni, filozoficzny. Udało się nam również zaprezentować przykłady wszystkich obszarów tematycznych jego poezji – urywki z poematów epickich, satyrę i wiersz miłosny, lirykę filozoficzną i poetyckie mistyfikacje.

Na ten tom składają się przekłady trzech tłumaczy – docenta Państwowego Uniwersytetu w Tbilisi, Rusudan Czanturiszwili, gruzińskiej polonistki, a zarazem poetki, Nateli Gawaszeli, a także tłumaczenia znanego, nieżyjącego już poety, Szoty Nisznianidze,

który w 1971 roku wydał swój zbiór przykładów Gałczyńskiego w wydawnictwie „Merani”.

W jednym ze swych znanych wierszy prosi Gałczyński, aby potomni napisali mu epitafium w formie takiego tekstu: „Liryka, liryka, tkliwa dynamika...” Pragnęlibyśmy, aby Gruziniński Czytelnik przeżył razem z polskimi wielbicielami K.I.G żywą dynamikę jego liryki. Mamy również nadzieję, iż wkrótce, nastąpią kolejne spotkania Gruzinińskiego Czytelnika z polską literaturą.







FARLANDIA

Myśmy mieli się spotkać na moście,
by pomówić o naszej miłości
pod tym klonem, koło budki z papierosami;

ale, jakem przewidywał: oczywiście
most w powietrze wysadzili anarchiści,
no to gdzie się teraz spotkamy?

Wszędzie duszno i ciasno – lecz znam ja
pewien kraj pod nazwą Farlandia,
tam jest niebo śpiewające i palmy.

No, no, nie płacz, nie troskaj się, nie martw,
że tego mostu już nie ma –
my się jutro w Farlandii spotkajmy.

* * *

Palmy się kołyszą,
palmy się kołyszą –
tak – tak – tak.

Tu wszystko zostało,
tu więcej nie wrócę –
nie – nie – nie.



ფარლანდია*

მიყვარხარ—მეთქი, მინდოდა მეთქვა
და პაემანი ხიდზე დაგითქვი,
იქ, ნეკერჩხლის ქვეშ, სიგარეტის ჯიხურთან ახლოს.

ანარქისტებმა აღარ გვაცალეს,
ხეც გადაბუგეს, ხიდიც გააქრეს,
ველარ შევხდებით ჩვენ იმ ხიდზე უკვე ვერასდროს.

აღარაფერი აღარ გადარჩა,
სულ ფერფლად იქცა, მარტო ის დარჩა—
ქვეყანა—ლანდი—ფარლანდია, სად ცაც კი ხარობს.

ნუ, ნუ, ნუ სტირი, გამოიდარე!
ხიდი აღარ გვაქვს, მაგრამ იწამე—
ჩვენ ხვალ შევხდებით ფარლანდიაში, პალმების ახლოს.

შრიალებენ პალმები,
შრიალებენ პალმები—
კი—კი—კი.

ჩვენი ხიდიც არ დარჩა,
არაფერი გადარჩა,
არა—ფე—რი.

* შორეული ქვეყანა — ინგლ. Far land

Ptaki nad palmami,
w palmach słodkie mięszce –
mi – ma – mi.

Karmimy się snami,
a w snach żnów najdroższe
palmy.

Palmy się kołyszą,
palmy się kołyszą –
za dużo.

To jest kraj, który jedziemy odkryć,
bardzo wiotki, bardzo słodki –
Farlandia.

1934



ჩიტი დაჯდა პალმაზე,
უნდა ტკბილი ნაყოფი,
ნა—ყო—ფი.

დაგვრჩა მხოლოდ სიზრები,
ზმანებები ძვირფასი,
ძვირფასო.

შრიალებენ პალმები,
შრიალებენ პალმები,
პალმები.

ჩვენი ტკბილი ქვეყანა
შორია და ლანდია—
ფარლანდია.

1934





O MEJ POEZJI

Moja poezja to jest noc księżycowa,
wielkie uspokojenie;
kiedy poziomki słodkie są w parowach
i słodsze cienie.

Gdy nie ma przy mnie kobiet ani dziewczyn,
gdy się uśpiło
wszystko i świerszczyk w szparze cegły trzeszczy,
że bardzo miło.

Moja poezja to są proste dziwy,
to kraj, gdzie w lecie
stary kot usnął pod lufcikiem krzywym
na parapecie.

1934



ჩემი პოეზიის შესახებ

ჩემი პოეზია — ღამეს ჰგავს მთვარიანს,
ირგვლივ სიმშვიდე რომ სუფევს.
როდესაც ტკბილია მინდვრებში მარწყვი და
ღამეს ამო გუნდრუკს უკმევს.

როდესაც ქალებიც არ ჩანან ირგვლივ და
მთლად ძილმა მოიცვა არე.
როდესაც ჭრიჭინა ჭრიჭინებს ნაპრალში
და გსურს შენც ამღერდე ბარემ.

ჩემი პოეზია — კატას ჰგავს რაფაზე,
ბებერ ძვლებს რომ ითბობს მზეზე.
მთვლემარე კატას ჰგავს, — უბრალო სასწაულს,
მზე რომ დასთამაშებს მხრებზე.

1934



SERWUS, MADONNA

Nechaj tam inni księgi piszą. Nawet
niechaj im sława dźwięczy jak wieża studzonna,
ja ksiąg pisać nie umiem, a nie dbam o sławę –
serwus, madonna.

Przecie nie dla mnie spokój ksiąg lśniących wysoko
i wiosna też nie dla mnie, słońce i ruń wonna,
tylko noc, noc deszczowa i wiatr, i alkohol –
serwus, madonna.

Byli inni przede mną. Przyjdą inni po mnie,
albowiem życie wiekuiste, a śmierć płonna.
Wszystko jak sen wariata śniony nieprzytomnie –
serwus, madonna.

To ty jesteś przybrana w złociste kaczeńce,
kwiaty mego dzieciństwa, ty cicha i wonna –
że rosa brud obmyje z rąk, splatam ci wieńce –
serwus, madonna.

Nie gardź wiankiem poety, łotra i łobuza;
znają mnie redaktorzy, zna policja konna,
a tyś jest matka moja, kochanka i muza –
serwus, madonna.

1929



სერვუს, მადონა!

დაე, დაწერონ სხვებმა წიგნები
და ჰქონდეთ წონა.
მე დიდებაზე სულაც არ ვზუნავ –
სერვუს, მადონა!

ჩემთვის უცხოა სქელი ტომები
და მშვიდი შრომა.
ლამე, სასმელი, წვიმა მალეღვებს –
სერვუს, მადონა!

სიცოცხლე მიდის, სიკვდილი მოდის,
არ უნდა თხოვნა.
შეშლილის სიზმარს ჰგავს ყოველვე,
სერვუს, მადონა!

ჩემი ბავშვობის გვირგვინი გამკობს,
აღმიდგა ხსოვნა.
ყვავილთა ცვარით ცოდვებს ჩამოგებან,
სერვუს, მადონა!

გვირგვინს დაგიწნავ, არ უკუაგდო
ულირსის შრომა,
შენ, ჩემო დედავ, მუზავ და სატრფოვ –
სერვუს, მადონა!

1929



NA ŚMIERĆ MOTYLA PRZEJECHANEGO PRZEZ CIĘŻAROWY SAMOCHÓD

Niepoważny stosunek do życia
figła ci w końcu wypłatał:
nadmiar kolorów, brak idei
zawsze się kończą wstydem i
są wekslem bez pokrycia
mój ty Niprzypiąłniprzyłatał!

1929

დიდი მანქანით გატანილი ფარვანის სიკვდილზე

ცხოვრება ლხინი და მოლხენა გეგონა, შენ, ჩემო ფარვანა.
დახე, რა დაგმართა უაზრო ფარვატმა, გიწია დაღმართმა:
ჭრელჭრული ფრთები და ჭრელ-ჭრელი მინდვრები, ფერადი ფერები
გაფლანგე, გაფანტე, დამარცხდი, ყვავილებს ვერ მოუფერები.
ველარც გაფრინდები, ველარც მოფრინდები, შენ, ჩემო ფარავანა.
დახე, რა დაგმართა უაზრო ფარვატმა, გიწია დაღმართმა.

1929





PIEŚŃ O ŻOŁNIERZACH Z WESTERPLATTE

Kiedy się wypełniły dni
i przyszło zginać latem
prosto do nieba czwórkami szli
żołnierze z Westerplatte.

(A lato było piękne tego roku.)

I tak śpiewali: - Ach, to nic,
że tak bolały rany,
bo jakże słodko teraz iść
na te niebiańskie polany.

(A na ziemi tego roku było tyle wrzosu na bukiety.)

W Gdańsku staliśmy tak jak mur,
gwiżdżąc na szwabską armatę,
teraz wznosimy się wśród chmur,
żołnierze z Westerplatte.

I ci, co dobry mają wzrok
i słuch, słyszeli pono,
jak dudnił w chmurach równy krok
Morskiego Batalionu.



სიმღერა ვესტერპლატეს ჯარისკაცებზე

როცა აღსრულდა მათი დღები,
მაშინ ზაფხული სუფევდა ქვეყნად.
პირდაპირ ცისკენ გაფრინდნენ ერთად
ის ვესტერპლატეს ჯარისკაცები.

(ზაფხული მართლაც მშვენიერი იყო იმჯერად.)

ასე მღეროდნენ: — „არაფერია,
დაე, გვტკიოდეს დღეს ჭრილობები,
ცის სანახები მშვენიერია,
მათ სახილველად მივემართებით“.

(იმ წელს ყვავილებს ვერ იტევდნენ ჩვენი მინდვრები.)

გდანსკში ვიდექით როგორც კედელი,
არ შემოვუშვით შვაბთა ჯარები,
ახლა კი ღრუბლებს შორის მოვფრინავთ,
ჩვენ, ვერსტერპლატეს ჯარისკაცები.

და ვისაც თვალი კარგად უჭრიდა
და ვისაც სმენა ჰქონდა უბადლო,
მათი დანახვა როდი უჭირდა,
ჯარისკაცების—ღრუბლების ახლოს.

I śpiew słyszano taki: - By
słoneczny czas wyzyskać,
będziemy grzać się w ciepłe dni
na rajskich wrzosowiskach.

Lecz gdy wiatr zimny będzie dął
i smutek krążył światem,
w środek Warszawy spłyniemy w dół,
żołnierze z Westerplatte.

1939



და ციდან მათი ისმოდა ხმები:
მივდივართ და მზის სხივებით ვტკბებით
და იქ, ედემის ბაღნარში, ძმები,
ისევ და ისევ ამ მზით გავთბებით.

და როცა ქარი სევდის გუნდებით
იქროლებს მძლვრად და გატაცებით,
ჩვენ კვლავ ვარშავას დაუბრუნდებით,
ჩვენ, ვესტერპლატეს ჯარისკაცები.

1939



LIST JEŃCA

Kochanie moje, kochanie,
dobranoc, już jesteś senna –
i widzę Twój cień na ścianie,
i noc jest taka wiosenna!

Jedyna moja na świecie,
jakże wystawię Tve imię?
Ty jesteś mi wodą w lecie
i rękawicą w zimie.

Tyś szczęście moje wiosenne,
zimowe, letowe, jesienne –
lecz powiedz mi na dobranoc,
wyszeptaj przez usta senne:

za cóż to taka zapłata,
ten raj przy Tobie tak błogi?...
Ty jesteś światłem świata
i pieśnią mojej drogi.

Obóz Altengrabow, 194





ტყვის წერილი

საყვარელო, საყვარელო ჩემო,
ძილი გბურავს, ღამე მშვიდობისა!
მე შენს აჩრდილს ვხედავ შორიახლოს,
გაზაფხულს ღამის შუქო ცისა.

ქვეყანაზე ჩემთვის ერთადერთო,
ვით შეგამკო, ვით გადილო ნეტავ?
ხარ ზაფხულში ჩემთვის ცივი წყარო,
ზამთარში კი — სითბო სანეტარო.

გაზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის
და ზაფხულის საჩუქარო ღვთისა,
მოასწარი ჩემო თვალსაჩინო
და მისურვე ღამე მშვიდობისა.

ნეტავ რისთვის მერგო მაღლი ღვთისა,
ეს სამოთხე შენთან ერთად ყოფნის?
სინათლე ხარ ჩემი შორი ქვეყნის
და სიმღერა ჩემი ქვეყნის მზისა.

ალტენგრაბოს საკონცენტრაციო ბანაკი, 1942



GDYBYM MIAŁ JEDENAŚCIE KAPELUSZY

Gdybym miał jedenaście kapeluszy.
pierwszy schowałbym w szafie, żeby się nie kurzył.

Drugi nadałbym przez pocztę w postaci paczki.
Trzeci byłby na drobnostki i drobiażdżki.

Czwartego używałbym wyłącznie do sztuk magicznych et cetera.
Piąty zamiast klosza, do przykrywania sera.

Szósty kapelusz – dla Jadwisi.
Siódmy bym powiesił. Niech wisi.

Ósmy przerobiłbym na nastrojowy abażurek.
W dziewiątym hodowałbym jeża lub coś z zoologii w ogóle.

Co do dziesiątego, to jeszcze nie mam pomysłu.
A jedynasty kapelusz porwałby mi wiatr nad Wisłą.
Bo powiedziała o mnie jedna poetka z Krakowa:
„To głowa nie do kapeluszy! To taka posągowa głowa!”



მე რომ თერთმეტი ქული მქონოდა

მე რომ თერთმეტი ქული მქონოდა...
მე რომ თერთმეტი ქული მქონოდა,
ერთს კარადაში შევინახავდი,
ნიავიც რომ არ მიჰკარებოდა.
მეორეს ფოსტით გავაგზავნიდი,
მოუხერხებელი რამეს მესამეს,
მეოთხით ფოკუსს გავაკეთებდი,
ყველს დავხურავდი თავზე მეხუთეს.
მექვსე იყოს იადვიგასათვის,
მეშვიდე-საკიდს, დაე, ეკიდოს.
მერვით ნათურას დავამშვენებდი
და ზღარბს ჩავსვამდი ჩემს მეცხრე ქულში.
მეათეს? – ვერც კი ვფიქრობ ამწუთში
მეთერთმეტეს კი წამგვრიდა ქარი.
როგრც ამობდა პოეტი ქალი,
ქულს ვერ მოირგებს თურმე ვერასდროს,
მონუმენტური ეს ჩემი თავი.

1949



GWIAZDY

Rozpłakały się gwiazdy Belgii
nad mym zabłąkaniem, nad szaleństwem wielkim,
pozwoływały się, rozpłakały się,
a jedna, ta niebieska, rzekła: mój mały.

Rozpłakały się gwiazdy Niemiec
też nade mną, żem taki szaleniec,
że za dużo na raz ukochałem,
że najgłupsza mogła zwieść mnie gitara,

świeca nagle zapalona dobrą ręką
i żwiejące przy tej świecy loki,
księżyc mały i wielkie obłoki,
i przechadzki przez most pod wiatr z piosenką.

Rozpłakały się gwiazdy niemieckie,
a ta niebieska zapłakała jak nad dzieckiem.

Gwiazdy czarne nad Notre-Dame
też widziały, jak bardzo byłem sam,
a to były gwiazdy Francji najlepsze.
Więc gdy jeły płakać nade mną,
już niebiesko było, już nie ciemno
i niebieski już był most i powietrze.



ვარსკვლავები

უცებ ატირდნენ ვარსკვლავები ბელგიის ცაზე,
გზააბნრული რომ მიხილეს, ბედის ამარა.
„ჩემო პატარავ“, – მითხრა ერთმა ლურჯმა ვარსკვლავმა
და მანაც ჩემთვის, უგნურისთვის ცრემლი დაღვარა.

და გერმანის ვარსკვლავებმაც იტირეს მერე,
ბევრი იტირეს, შემიცოდეს მათაც ბეჩავი,
სწუხდნენ სიყვარულს ხელალებით რომ დაუფჯერე,
სულელ გიტარას და სიმღერას ასე რომ ვენდე.

ასე რომ ვენდე სატრფოს ხელით ანთებულ სანთელს,
სანთლის ანარეკლს, მოთამაშეს ოქროსფერ თმაზე.
პატარა მთვარეს, ზორბა ღრუბლებს, რომ მივუმღერე
ხიღზე გავლისას და სიმღერას გულით მივენდე.

და დამტიროდნენ ვარსკვლავები ბეჩავს, გულახდილს.
ლურჯი ვარკვლავი დამტიროდა ისე, როგორც ჩვილს.
მერე ნოტრ-დამის ვარსკვლავებმა უცხო ფერისამ,
იხილეს ჩემი მარტოობა, გულით იღარდეს

და დამიტირეს ვარსკვლავებმა საფრანგეთისამ.
და მაშინ, როცა ვარსკვლავები ტიროდნენ ასე,
ცა გაცისკროვნდა, ლურჯი ფერი გამოჩნდა ცაზე,
სუფთა, კამკამა ლურჯი ფერი ჰაერში, წყალზე.

Ale tylko gwiazdy Polski uciekły
i krzyczały: to był człowiek wściekły,
niepotrzebny zakochany pasterz,
niepotrzebna gwiazda nad masztem,
niepotrzebny kwiat, zbędny instrument,
niepotrzebne drzewo z wiecznym szumem,
niepotrzebna zakochana piosenka,
niepotrzebny kościół, gdzie się klęka,
niepotrzebna ławka, gdzie się siada,
i słodycz, i noc, i zagłada.

Paryż, grudzień. 1945



და პოლონეთის ვარსკვლავები გამექცნენ მხოლოდ.
იძახდნენ ჩემზე: შეშლილია, მართლაც უგუნური,
ცუდი მწემსია, უვარგისი შეყვარებული,
ცუდი ვარსკვლავი, შემომჯდარი გრძელ ანძის თავზე,
ასევე ცუდი და უსუნო მინდვრის ყვავილი,
ცუდი საკრავი, უსარგებლო ჰანგებით სავსე
და ხე მაღალი, უვარგისი, მუდამ შრიალა,
ცუდი სიმღერა სიყვარულზე, არაფრის მთქმელი,
ტაძარი, სადაც ლოცვამ უქმად გაიხშიანა,
სკამი, რომელზეც სხედან, მაგრამ არის ზედმეტი,
ფუჭი სისოცხლე, – არაფერი სხვა ამის მეტი.

პარიზი, 1945





PYLEM KSIĘŻYCOWYM

Pyłem księżycowym być na twoich stopach,
Wiatrem przy twej wstążce, mlekiem w twoim kubku,
papierosem w ustach, ścieżką pośród chabrów,
ławką, gdzie spoczywasz, książką którą czytasz.

Przeszyć cię jak nitką, otoczyć jak przestwór,
być porami roku dla twych drogich oczu
i ogniem w kominku, i dachem, co chroni
przed deszczem.

1946

ნეტავი მთვარის მტვერი ვიყო...

ნეტავი მთვარის მტვერი ვიყო მე შენს ტერფებზე,
ან ქარი ვიყო შენს ბაფთებზე, რძე – შენს კათხაში;
ის სიგარეტი ვიყო ნეტავ, რომელიც გიყვარს,
ის გზა, – რომელზეც შენ დადიხარ და გველოს დიდხანს!

ან წიგნი ვიყო, რომ კითხულობ, სკამი, – რომ ზიხარ,
ძარღვებში ძაფად დაგივლიდი, სხვა რა ვქნა, მითხარ?
მაგ თვალებისთვის წელიწადის დროებად ვიქცე,
შენს ბუხარში კი ვგიზგიზებდე ცეცხლად, ნეტავი,
ანდა წვიმის დროს თავშესაფარად მაქცია, ნეტავ,
რომ შენ დაგიცვა. შენთან ვიყო, მუდამ, ნეტავი!

1946





DLACZEGO OGÓREK NIE ŚPIEWA

(z niedokończonyj całości pt. „M i ł o s i e r d z i e”)

Pytanie to, w tytule
postawione tak śmiało,
choćby z największym bólem
rozwiązać by należało.

Jeśli ogórek nie śpiewa,
i to o żadnej porze,
to widać z woli nieba
prawdopodobnie nie może.

Lecz jeśli pragnie? Gorąco!
Jak dotąd nikt. Jak skowronek.
Jeżeli w słoju nocą
łzy przelewa zielone?

Mijają lata, zimy,
raz słoneczko, raz chmurka;
a my obojętnie przechodzimy
koło niejednego ogórka.

1946



რატომ არ მღერის კიტრი

„მოწყალების“ დაუმთავრებელი ციკლიდან

რატომ არ მღერის კიტრი, ნეტავი?
კითხვა რთულია, მეტად სადავო.
ვის აქვს პასუხის გაცემის თავი,
რომ აღარავინ აღარ იდაოს?

რადგან არ მღერის კიტრი არასდროს
და წლის ყოველ დროს არის მღუმარე,
ჩანს, მის სიმღერას ზეცა არ წყალობს,
თუნდაც დაღვაროს ცრემლი მღუმარე.

და თუ სწყურია კიტრსაც სიმღერა?
და სურს მღეროდეს როგორც ბუღბული?
თუ მწვანე ცრემლებს ღვრის ღამღამობით
და სევდისაგან უკვდება გული?

წელი წელს მისდევს, ზამთარი—ზამთარს
მზიან დარსა ცვლის ცა მოღრუბლული
და ნეტავ, ჩვენში ვის ედარდება
კიტრის ოცნება ან სინანული?

1946



ŚMIERĆ INTELIGENTA

(fragment)

I

HAGIOGRAFIA

Przeziębiony. Apolityczny.
Nabolały. Nostalgiczny.
Drepce w kółko. Zagłada.

Chciałby. Pragnąłby. Mógłby. Gdyby.
Wzrok przeciera. Patrzy przez szyby.
Biały Koń? Nie, śnieg pada.

Wszystko krzywe. Wszystko nie takie.
Na ziemi znaki. Na niebie znaki.
Przepraszam, a gdzie kometa?

Cipcius z Londynu pisał przecie
w wielkim sekrecie o komecie.
Kometa. Ale nie ta.

Więc obrażony. Więc zatruty.
Wszędzie za późno. O diwe minuty.
O dwie minuty. We śnie.



ინტელიგენტიის სიკვდილი

(ფრაგმენტი)

I

ჰაბიობრაზია

გაციებული. აპოლიტიკური.
დაავადებული. ნოსტალგიური.
ძაგძაგებს, შველას კი არავის სთხოვს.

სურდა, რომ... სწაღდა, რომ..., შეეძლო კიდევ, რომ...
სათვალის შუშიდან მზერს—წარიტაცა დრომ.
ეს თეთრი რაშია? ო, არა, —თოვს.

ყველგან სიმრუდეა, სად წვდება ფიქრები,
ცაზე და მიწაზე ჩანს რაღაც ნიშნები...
მაგრამ, უკაცრავად, კომეტა სად არის?

ციპსუსმა გვაცნობა, ციპსუსმა მოგვწერა,
იმან ლონდონიდან კომეტა აღწერა.
კომეტა ვიხილეთ, თუმც სხვა და არა ის.

და ისევ ნაწყენი, ისევ მოწყენილი,
ვიღაც იგვიანებს, ის ღვას მოცდენილი.
უნდა შეუკურთხოს ძილში რომ არიან.

Mieli przyjść szosą. Gdzie ta szosa?
jak gdyby włos wyrywał z nosa,
uśmiecha się boleśnie.


Więc, leżąc krzyżem, zdecydował.
Stanął na głowie. Spuchła mu głowa.
Żegnajcie, dzieci, żono!

I paszkwil rąbnął na pewną pralnię
że w pralni było niekulturalnie
i że go znieważono.

A teraz co? Teraz się martwi.
A może klasztor? Może do partii?
Lecz tu czy tam – migrena.

Boczną uliczką, zaułkiem krętym
idzie pod wiatr ten polski święty
z fortepianem Szopena.

1947



ის გზა, ცარიელი, მისკენ იზიდება,
ისიც გზას გაჰყურებს, ისე იღიმება,
თითქოსდა ნესტოდან მას ღინღლებს აცლიან.

და ასე ჯვარცმულმა რაღაც გადაწყვიტა.
დადგა ყირაზე და თავი გაუსივდა.
მშვიდობით ოჯახო, მშვიდობით ცოლ-შვილო!

მერე სამრეცხაოს უჩივლა რატომღაც
და თავს დაატეხა რისხვაცა და ბოღმაც:
ცუდად მომექცნენო, როგორ არ ვიჩივლო?!

ახლა კი რაღა ქნას? რა წყალში ჩავარდეს?
მონასტერს მიმართოს? პარტიას ჩაბარდეს?
და თავი ასტკივდა ფიქრების რიალით.

მიხვეულ-მოხვეულ, კლაკნილი ქუჩებით,
მიდის პოლონელი ქარში აჩქარებით,
წმინდანი, შოპენის ღვთიურ როიალით.

1947





REQUIEM ?

Ten tytuł jest fałszywy:
Umarli krzyczą do nas:
„My nie zaśniemy spokojnie,
gdy walka jest nie skończona,
my nie możemy zasnąć,
nas nie chce przyjąć Acheron,
bo walka jest nie skończona,
bo w pół drogi jesteście dopiero.
Nocą, która nam sprzyja,
gdy księżyc mózg wam omami,
wyływamy spod ziemi jak ryby
i jak ryby suniemy za wami
po piętach, do domostw, w sumienia,
w sam ból, w sam środek, w sam korzeń;
i szumi wysoko śmierć,
jak bór, jak wiatr i jak morze.
My koldry wam z brzuchów zrzucimy
i wyrzucimy na chodnik,
my w oczy wam, bracia, spluniemy,
gdy nie będziecie nas godni;
my mór na dzieci spuścimy
i trwogę jak deszcz po świecie,
jeżeli się załamiecie,
jeżeli nas zawiedziecie.
Europejczycy, słuchajcie,



რეკვიემი?

ეს სათაური ყალბია, ყალბი.
მიცვალებულთა ისმის ძახილი:
„ჩვენ მოსვენებით რა დაგვაძინებს,
სანამ არ არის ბრძოლა ჩავლილი.
ჩვენ მოსვენებით რა დაგვაძინებს
და არც გვლებულობს ჩვენ აქერონი,
რადგან ჯერ კიდევ შუა ცეცხლში ხართ,
რადგან არ არის ბრძოლა ჩავლილი.“

ჩვენ გვეხმარება ღამე უკუნი,
თქვან კი გიბინდავთ მთვარე გონებას
და ჩვენ, მიწიდან, როგორც თევზები,
ამოვყვინთავთ და დაგედევნებით.
სახლში თუ კარში, სულსა და გულში,
გაუსაძლისი ტკივილის დროსაც,
დაგედევნებით როგორც თევზები,
როგორც სინდისი – გაუსაძლისი.
მალა გუგუნებს, დრტვინავს სიკვდილი,
როგორც ზღვა, ქარი, ქარში ფიჭვნარი.
წაგგლიჯავთ საბნებს, თუ დაგეძინათ.
რა დროს ძილია, რა დროს სიზმარი!
თუ არ იქნებით თქვენ ჩვენი ღირსი,
შემოგიკურთხებთ, წაგართმევთ შვილებს,
გაგავერანებთ მშიშრებს და ლაჩრებს,
თუ არ იქნებით თქვენ ჩვენი ღირსი.“
ევროპელებო, ისმინეთ ჩვენი.

słuchajcie głosu Warszawy:
dziś nie ma miejsca dly chwiejnych
i nie ma życia dla słabych.
Walka o pokój jest twarda.
Laur dla tych, co się uparli.
Spójrzcie! aż ziemia się wzdyma,
tak krzyczą spod ziemi umarli.
A my ciągle jesteśmy z wami
my przy was, my z was, my za was.
A w niebie świecą dwie gwiazdy:
Stalingrad i Warszawa.

* * *

Nam nie potrzeba kadzideł,
symfonii i requiemów,
nie czas dziś jeszcze na to,
siły dajcie światu żywemu.
Przyjdzie dzień, gdy jak iskra
wieczna radość przez glob przebiegnie:
żywym na odpoczynek,
umarłym na Wielkie Requiem”.

1948

ჩვენი, ვარშავის, ისმინოს ყველამ.
ჩვენთან სულმდაბალს არა აქვს ხელი,
მშვიდობისათვის ვიბრძოლოთ ყველამ.
ამოიბურცა მიწაც კი, მიწაც,
შემოგვძახიან რადგან წასულნი:
“თვენთან ვართ, თქვენში, მუდამ თქვენს გვერდით,
სხვისთვის უცნობნი და დაფარულნი”.
ორი ვარსკვლავი კიაფობს ცაზე,
მათი კიაფი სხვებზეც გადავა.
ორი ვარსკვლავი კიაფობს ცაზე,
სტალინგრადია ეს და ვარშავა.

* * *

ჩვენი არ გვჭირდება არც საცეცხლური,
არც სიმფონია, არც რეკვიემი,
ჯერ არ დამდგარა დრო გარდასული,
ცოცხლებს—სიცოცხლე, გული—ლომგული.
ის დღეც დადგება, როს ნაპერწკალი
მთელ დედამიწას დაუვლის სხივად.
მაშინ, ცოცხლებო, იყავით მშვიდად,
განსვენებულებს კი — რეკვიემი.

1948

EPISTOŁA DLA ZAKOCHANYCH

Do was dziś należy cały świat,
na trzy księżyce klnę się, moi drodzy –
o, świerszcz na moście kwili, a ten wiatr
oddech wasz z oddechem łączy nocy.

Tyle gwiazd zaczęło swe spadanie!
Jak mały bąk zza węgła sierpień patrzy.
Rzućcie kwiat, choćby najmniejszy, dla niej.
Rzućcie kwiat, ta noc dziś dla was tańczy.

1948



ეპისტოლე შეყვარებულთ

სულ თქვენ გეკუთვნით სამყარო მთელი,
ამ მოვარეს ვფიცავ, ჩემო კარგებო.
თქვენთვის ჭრიჭინებს ჭრიჭინა ხელი
და ქარიც თქვენთვის ქრის საგანგებოდ.

ციდან ვარსკვლავთა დაიწყო ცვენა,
გიმზერთ აგვისტო გულგათანგული.
ბიჭო, ესროლე სატრფოს ყვავილი,
ბიჭო, ესროლე გრძნობა ფარული.

1948





ROZMOWA LIRYCZNA

– Powiedz mi, jak mnie kochasz.

– Powiem.

– Więc?

– Kocham cię w słońcu. I przy blasku świec.

Kocham cię w kapeluszu i w berecie.

W wielkim wietrze na szosie i na koncercie.

W bzach i w brzoźkach, i w malinach, i w klonach.

I gdy śpiesz. I gdy pracujesz skupiona.

I gdy jajko rozthukujesz ładnie –

nawet wtedy, gdy ci łyżka spadnie.

W taksówce. I w samochodzie. Bez wyjątku

I na końcu ulicy. I na początku.

I gdy włosy grzebieniem rozdzielisz.

W niebezpieczeństwie. I na karuzeli.

W morzu. W górach. W kaloszach. I bosy.

Dzisiaj. Wczoraj. I jutro. Dniem i nocą.



ლირიკული საუბარი

- მითხარი, როგორ გიყვარვარ, როგორ?
- გეტყვი.
- მითხარი.
- მიყვარხარ მზის და მთვარის შუქზეც,
ბერეტშიც, ქუდშიც.
ქარშიც მიყვარხარ და კონცერტზეც,
სად არ ქრის ქარი.

მიყვარხარ მაშინ, როცა ყვავის იასამანი,
ჟოლო რომ მწიფობს და მწვანეში
ღვას ნეკერჩხალი.
ძილშიც მიყვარხარ და ღვიძილშიც,
სულ შრომობ როცა,
კვერცხსაც ისე თქვეფ, — მოხდენილად,
არ იცი მოცლა.
მაშინაც გეტრფი გიფუჭდება
რაიმე როცა.
ტაქსშიც მიყვარხარ, ლიმუზინშიც,
ყველგან, საოცრად.
მიყვარხარ მაშინ როცა ქუჩის
ბოლოში გხედავ;
მაშინ მიყვარხარ, მოხდენილად
თმას რომ ივარცხნი;
კარუსელზე ხარ და თუ ტკბება
სხვაც ჩემებრ, ნეტავ?
ზღვაშიც მიყვარხარ, მთაშიც, ბარშიც,

I wiosną, kiedy jaskółka przylata.
– A latem jak mnie kochasz?
– Jak treść lata.
– A jesienią, gdy chmurki i humorki?
– Nawet wtedy, gdy gubisz parasolki.
– A gdy zima posrebrzy ramy okien?
– Zimą Kocham cię jak wesoły ogień.
Blisko przy twoim sercu. Koło niego.
A za oknami śnieg. Wrony na śniegu.

Leśniczówka Pranie, 19.



სულ ფეხშიშველიც;
შენი დღეც მიყვარს, შენი ზვალეც,
დღე გუშინდელიც.
მიყვარხარ მაშინ, მიფრინავენ
მერცხლები როცა.
– ზაფხულშიც მეტრფი?
– ვით ყოფნის არსს, გეტრფი საოცრად.
– შემოდგომაზე თუ გიყვარვარ,
ღრუბლიან დარში?
– მიყვარხარ, როცა ქოლგას კარგავ
წვიმა-ავდარში.
– ზამთარში, როცა ფანჯრებია
სულ შეჭირხლული?
– მაშინ მიყვარხარ როგორც ცეცხლი,
ღნება ყინული.
ზამთარში მინდა, რომ შენს გვერდით
ვიყო უბრალოდ,
გარეთ თოვლია, ფიფქი ცვივა
და ყორნებს ათოვთ.

1950



EZOP ŚWIEŻO MALOWANY **SKROMNOŚĆ**

Na Poczcie Główną w Warszawie
przyszedł list strasznie pomięty,
z adresem brzmiącym ciekawie:
DO NAJLEPSZEGO POETY.

Nazwiska ani ulicy
nadawca nie podał wcale,
więc naradzali się wszyscy,
co z fantem tym począć dalej.

Żeby nie wyszła gaffa,
list odesłali do Staffa.

Staff oddał go Tuwimowi,
a Tuwim na to tak powi:

„To nie ja. A wy się boczcie”.
I list znów leżał na poczcie.



ახლად დახატული ეზოკე თავმდაბლობა

ვარშავის მთავარ ფოსტაში, ერთხელ,
ნახეს წერილი და ვის? – ვერ პოვეს.
კონვესტს ეწერა ასე, ხელდახელ:
„პოეტებს შორის უკეთეს პოეტს“.

იქ არ ეწერა გვარი, არც ქუჩა,
ის ადრესატი სდუმდა ამაზე.
წუხილს ვერავინ ვერ გადაურჩა:
„ნეტავ ვინ არის კარგი ყველაზე?“

მერე კი აზრიც მოვიდა სწრაფი,
სტაფს გაუგზავნეს, „დე, იყოს სტაფი!“

სტაფმა ის ტუვიმს გადაულოცა,
ტუვიმმა ეს თქვა, მიიღო როცა:

„მე არ მეკუთვნის, რაც გინდათ ქენით“.
წერილი ფოსტას უბრუნა ფრენით,

Żeby więc skończyć z kłopotem,
kierownik poczty rad nierad
wziął w rękę swe pióro złote
i dał do gazet inserat,

że „list jest taki i taki,
więc się zgłaszajcie, cłopaki”.

Taaak.

I teraz wciąż się ktoś zgłasza,
i problem wciąż się rozszerza.
I stoi kolejka straszna
na długość jak stąd do Zgierza.

1951



რომ ვერ გადაჭრა პრობლემა რთული,
უფროსმა ძალა თავს დაატანა,
ხელში აიღო ოქროს კალამი
და გაზეთებში ცნობა გაგზავნა:

გვაქვსო წერილი ჩვენ უცხო ძალზე,
ასე არისო, ასე და ასე.
მიდით გამოჩნდით, თქვენ, კარგნო სხვაზე

ა-ა-ა-ასე.

და ამის მერე ვინ აღარ მოდის?!
და ეს პრობლემაც შეწყდება როდის?
და კვლავ რიგი დგას, რიგი აქამდე,
ვით ვარშავიდან და კრაკოვამდე.

1951





TO PRZECIEŻ NIE DA SIĘ...

To przecież nie da się wyrazić inaczej,
tylko ten szmer za ścianą trzeba zanotować,
może deszcz? – gwizd pociągu, kroki w ulicy
i bardzo słabe światło, co w tej chwili pada
z latarni dorożkarskiej przybitej do ściany,
i ten gliniany gołąb, i szczygiel drewniany,
i ten rajtar XVII-wieczny na koniu z XV wieku...

ამის გადმოცემა მე არ შემიძლია...

ამის გადმოცემა მე არ შემიძლია, არ ძალმიძს, არა.
იმას თუ ჩაენიშნავ, ხმაური რომ ისმის იმ კედლის გაღმა.
წვიმა-საოცარი, ორთქმავლის საყვირი, ფეხის ხმა ქუჩაში,
ოდნავ მოციმციმე უეჭი რომ გამოკრთის და ბრწყინავს წვიმაში,
იქ თიხის მტრედია, იქვე-ხის კოდალა, მეეტლის ფარანი.
ძველ დროთა რაინდი უფრო ძველ ცხენზე ზის
და მიქრის მხედარი.

1953



EZOP ŚWIEŻO MALOWANY **ZŁUDZENIA POPULARNOŚCI**

Pewnego dnia
(a dzień był piękny jak skrzypce)
szedłem sobie spacerkiem
przez place i przez ulice.

W parkach grały kapele.
Rzecz się działa w niedzielę.

Lecz co mnie zastanowiło,
można powiedzieć, ogromnie.
to to, że wszyscy tak miło
się uśmiechali do mnie;

czy kto szedł pieszo, czy jechał,
każdy się do mnie uśmiechał.

„Hm – myślę – hm... w rzeczy samej
cóż to jest? Popularność.
Popularność nad popularnościami
i wszystko popularność.

To pewnie ten mój poemat,
co go na sercu noszę.



ახლად დახატული ეზოვკა მომატყუებელი პოპულარობა

ერთ მშვენიერ დღეს,
ვიოლინოს რომ მოგვაგონებს,
დავსეირნობდი,
მივყვებოდი ქუჩებს, მოედნებს.

ხმა კაპელისა გაისმოდა პარკებში ყველგან,
კვირა დღე იყო, ასეთია კვირა დღე ყველა.

მაგრამ ერთმა რამ გამაოცა
ყველაზე მეტად;
ყველა გაბვლელი მიცინოდა
მე მეტისმეტად.

ყველა მგზავრი და
ყველა ფეხით მოსიარულე.

„ჰმ, – გავიფიქრე, – ჰმ...
რას ნიშნავს ეს ქცევა, ნეტავ?
პოპულარობას,
ჰო, ნამდვილად, მე ამას ვხედავ.

აღბათ, პოემას
რომ ვატარებ გულში, იციან.

O, rokosze! O, nieba!
O, nieba! O, rokosze!

A może, może przez eter
puścili coś całym światem,
że „powitajmy poetę”,
że „czcymy”, że „onorate”.

I przez to tak w bębny biją,
i przez to tak czczą laurowo;
przez to uśmiechy. Triumf
na skalę wszechświatową”.

Dopiero pewien facet,
kiedym zapytał go się,
rzekł „Wyszedł pan na spacer
z wielką plamą od atramentu na nosie”.



ო, ნეტარებაჲ,
ჩემი თავი მე გამიცია.

ანდა ეთერში განაცხადეს
ჩემი ღირსება:
„აი, პოეტი,
მას ეკუთვნის ქება—დიდება!“

აი, რატომაც ისმის თურმე
ხმა დაფდაფების,
ეს ყველაფერი ჩემთვის, ხდება,
სულ ჩემთვის, ჩემთვის!

და ბოლოს, როცა,
კიდევ ერთმა მე შემომცინა,
ვკითხე მიზეზი,
მიპასუხა და გამიცინა:

„ბატონო, ალბათ, თამაშობდით
მელნიან კალმით,
ცხვირზე ლაქა გაქვთ,
დასეირნობთ ამ მელნის ლაქით“.

1951



EZOP ŚWIEŻO MALOWANY **BAJKA O DREWNIANEJ GŁOWIE**

Na Nowym Świecie, w świetle latarni,
leżała głowa w antykwarni,

może dziwoląg etnograficzny,
a może przyrząd do sztuk magicznych,

z zewnątrz toczona, wewnątrz drażona,
głowa-curiosum, fikcja szalona,

w każdym bądź razie zwyczajne drewno,
drewno, drewno. Na pewno.

Że lubię rzeczy wyjątkowe,
nabyłem ową drewnianą głowę,

niosę do domu, rozwijam papier,
a żona patrzy i łza jej kapie,

w końcu monolog: „Och, moje złoto,
po coś to kupił, na co ci toto?”

Ja mam wydatki: i to, i owo,
a ty do domu nagle z tą głową.

ახლად დახატული ეზოვე ზღაპარი ხის თაჰისა

ერთხელ, ანტიკვარიატში „ნოვი სვეტის“ ქუჩაზე, დავინახე თავი იღო, ვერ მოვედი ჭჯუაზე.

იქნებ ეთნოგრაფიულად ვინმეს რამედ არგია,
იქნებ იმას გამოადგეს, ვინც ხელს კიდებს მაგიას?

თავი იყო კურიოზი, მონაგონი გიჟური,
ამოკვეთილ-მოხატული, უცხოდ ამოტვიფრული.

გინდ ასე თქვი, გინდ ისე თქვი, ის ხე იყო უბრალოდ,
ხე, ხე, მაგრამ ჩანაფიქრი იყო მართლაც უბადლო.

რა ვქნა, მიყვარს მე ასეთი უჩვეულო ნივთები
და ეს თავიც შევიძინე, გზას ხის თავით მოვყვები.

სახლში მისულს ცოლი მხვდება. ხის თავს ქალადს ვაცილებ,
ჩემი ცოლი ტირილს იწყებს, ცხვირსახოც ვერ ვაცილებ.

ამას მოჰყვა მონოლოგი: „ჰოი, ჩემო ფულებო,
ტყუილად წყალში გადაყრილო, უქმად დახარჯულებო“.

მერე მითხრა: „რად გინდოდა, ან რა თავში ვიხალო,
ხარჯები მაქვს, თავს ყიდულობ, რატომ, რისთვის? მითხარო.

O, biedna jestem ja losu pastwa,
jak ty co zrobisz – same dziwactwa;

gdy patrzę na nią, ból mnie przeszywa,
zabierz tę głowę, dość mam tych dziwactw”.

(Monolog rośnie, słowo do słowa,
a między nami drewniana głowa.)

Żeby więc nieco byłysnąć dialogiem,
tak się odzywam: „Prawdą a Bogiem,

to mną kierował rozsądek zdrowy,
wnet pojdziesz sekret drewnianej głowy”.

I żeby dowód poszedł za słowem,
lekko nadziewam głowę na głowę.

Wchodzi kolega (z drewnianą głową),
co dawnie patrzył na mnie surowo.

Widząc, że też mam drewnianą kulę,
zaczyna do mnie przemawiać czule,

mówi: „Mój kotku!” Siedzi do rana.
Drewniana głowa. Głowa drewniana.

Nazajutrz o mej drewnianej głowie
wieść się roznosi jak ryki krowie,

რად ვარ ასე უბედური, ნეტავ რა დავაშავე,
აღარ გეყო სიურპრიზები? მორჩი და გაათავე!

რომ ვუყურებ, თავი მტკივა, რატომ არ გებრალები?
მე ეგ თავი თავს მატკივებს, შენ დაგიბრმეს თვალები!”

სიტყვას სიტყვა მოვაყოლე, კამათს მოჰყვა კამათი
და ხის თავი კი ჩვენს შორის იყო საღ-საღამათი.

მე ვუთხარი: „შენ არ გესმის, ვყიდულობდი როდესაც,
ჩანაფიქრი მქონდა კარგი, შენც მიხვდები ოდესღაც“.

მერე თავზე ჩამოვიცვი ის უაზრო ხის თავი,
არც არავის გაუკვირდა, ვინ იყო გამკითხავი!

ამ ხის თავით მოვიზიდე ის, ვინც არა მწყალობდა,
ხისთავიან ნაცნობს ჩემი ხის თავი უხაროდა.

ის დილაძლე დარჩა ჩემთან, — ხისთავიან ძმობილთან,
უწინ კუშტად მიყურებდა და მივლიდა შორიდან.

ხისთავიანს გაუხარდა, რომ ვარ ხისთავიანი,
ე.ი. ნორმალური, სანდო ადამიანი.

დილით ძროხის ბლავილივით მთელ ჩვენს ქალაქს მოედო:
ჩვენნაირი გამხდარაო, ჭკუას ძლივს არ მოეგო?!

დილით, ღამით, შუადღეზე, ამ ხის თავის დიდება,
ხისთავიანს ჩემს ნაცნობებს სრულიად არ სწყინდებათ.

chwała w południe, wieczór i rano
drewniane głowy głowę drewnianą,

kariera rośnie, szacunek wzrasta,
jestem na usrtach całego miasta,

duch mnie nie męczy apollinowy,
mam pełny spokój. Z powody głowy.

Niech żywe głowy budują, a ja
tylko oceniam, tylko zagajam,

tutaj postoję, tam się powiercę,
tu coś uzgodnię, tam coś zatwierdzę,

roskoszny dzionek strzela jak z bicza.
O, głowo moja! o, tajemnicza!

którą znalazłem gdzieś w antykwarni?
Na Nowym Świecie? W świetle latarni?

Czysty przypadek: I cóż wy na to?
Jestem szczęśliwym biurokratą.

კიდევ დამაწინაურეს, პატივს მცემენ ძალიან,
ყველა ჩენზე ლაპარაკობს, — კაცია თუ ქალია.

აპოლინერისეული აღარ მტანჯავს ფიქრები,
ხისთავიანს როგორც მართებს, ჩემთვის მშვიდად ვიქნები.

უწინ ფიქრით თავს ვიმტრევედი, ახლა სხვებმა იმტვირინ,
კრებებს ვხსნი და კრებებს ვხურავ, საქმე სხვებმა იძიონ.

აქ რაღაცას ვადასტურებ, იქ ვიღაცას გავკიცხავ,
ხან რატომღაც გავჯარდები, ხან სიმშვიდეს დავიცავ.

ბედნიერი გავხდი, მართლაც, ამ ხის თავის წყალობით.
მის გარეშე, თავო ჩემო, გახსოვს, როგორ ვწვალობდით?

რა იღბალზე გავიარე „ნოვი სვეტის“ ქუჩაზე.
რაღა იმ მაღაზიასთან, რაღა იმ ტროტუარზე?

ნუთუ მხოლოდ შემთხვევაა, ის თავი რომ ვიყიდე?
თქვენ რას იტყვით, ხომ ხის თავმა მომანიჭა სიმდიდრე?



1951



KOŃ W TEATRZE

Na próbę generalną satyrycznego programu przez pomyłkę do konia zaproszenie wysłano, że mamy zaszczyt et cet., że bardzo dobre miejsce, koń przyjechał, ale się spóźnił, żeby zrobić tak zwane wejście. Wozni nie chcieli go wpuścić, aliści rzeczce woźny do woźnego - Szkoda łez, ja uważam, że lepiej go wpuścić, kolego, niby ta grzywa i rzenie, a może to nie jest byle kto? na oko koń, a w gruncie rzeczy może to jaki dyrektor; życie jest pełne pozorów, na pozór czasem koń czy zając, człowiek nie wpuści, a potem nieprzyjemności wynikają. I tu schylili głowy. Koń się znalazł w teatrze i przeszedł przed pierwszym rzędem na znak, że on czynnie i także. Przez cały czas przedstawienia stał głową do widowni obrócony, tam coś śpiewali, a on stał (z kopytem na poręczu) i tylko rozdzielał ukłony bezbłędnie, stosownie do osoby, raz serdeczne, raz nikłe, jakby powiedział Lukrecjusz: *sum cuique*. W antrakcie kilku redaktorów poprosiło go o poemat (ew.pt. „Indonezja”),

ცხენი თეატრში

რეპეტიცია იყო თეატრში, — გენერალური რეპეტიცია. შეცდომით ცხენი მიიპატიუეს, თითქოს ცხენებმა რამე იციან. „პატივი დაგვდეთ — ბარათს ეწერა, — მობრძანდით“ et cet... და et cetera...,

ცხენი მივიდა დაგვიანებით, „ეს მე ვარ, დატკბით“ — სახეს ეწერა. თუმც კარისკაცებს მისი შეშვება სულ არ უნდოდათ, შეუშვეს მაინც.

ერთმა მეორეს უთხრა: „შევუშვათ ეს დაფეხვილიც, გავარდეს ჯანიც!“

ხედავ მის ფაფარს? იცის ჭიხვინიც, ტანად პატარა ვინმე როდა,

თითქოს ცხენია, მაგრამ ვინ იცის, მართლა ცხენია თუ უფროსია?! ბევრი რამ არის მოჩვენებითი: ზოგი ცხენსა ჰგავს, ზოგი კი კურდღელს.

რომ არ შევუშვათ, ვიცი, მაშინვე, ის გვაწყველინებს ჩვენ გაჩენის დღეს.

კარისკაცებმა თავი დაუკრეს, ცხენი თეატრში აღმოჩნდა უცებ, ისე ამაყად ეჭირა თავი, იტყოდი: „ტოლსაც არვის დაუდებს“. და უყურებდა ის ცხენი სცენას, ხმას არ იღებდა, არ სძრავდა ენას,

თუმც მოაჯირზე ეწყო ჩლიქები და ყურს უგდებდა ასე სიმღერას.


თავს ოსტატურად უკრავდა ყველას, ზოგს მორიდებით, ზოგს ქედმაღლურად,

„ყველას თავისა ეზღვება ბოლოს“ — ლუკრეციუსმა თქვა ოსტატურად.

ponieważ koń opanował w mig wyrażenie „koncepcja”
i siał nim na wszystkie strony, czasami dodając „aspekt”,
ihahahaha koncepcja, ihahahaha aspekt.


Ktoś go sfotografował, ktoś go nakręcił, dla kina,
albowiem, co tu gadać, koń to rzecz sensacyjna.

A w finale programu na scenie była namalowana trawa.
Koń skoczył. I trawę zjadł. I dostał największe brawa.



ანტრაქტის დროს კი სთხოვეს პოემა რომ დაეწერა –
„ინდონეზია“,
ცხენი დათანხმდა, რადგან იცოდა სიტყვა „ასპექტი“ და
„კონცეფცია“.
ცხენს გადაუღეს სურათი მერე და კინოფირზეც აღბეჭდეს
ბოლოს,
ცხენი თეატრში! აი, ამბავი! სენსაციაა ბოლოს და ბოლოს.
მერე სცენაზე დეკორაცია იყო – ბალახი, ბალბა, სამყურა...
ცხენმა შესანსლა დეკორაცია და დიდი „ბრავო“ დაიმსახხურა.

1953





PIEŚNI

I

Gdy próg domu przestępujesz,
to tak jakby noc sierpniowa
zaszumiła wśród listowia,
a ty przodem postępujesz.

A za tobą cienie ptasie,
szczygieł, gil i inne ptaki.
Świecisz światłem wielorakim
od sierpniowej nocy jaśniej.

Bo ty jesteś ornamentem
w gmachu nocy, jej księżycem.
Przesypujesz światła w rękę
z namaszczeniem, jak pszenicę.

U twych ramion płaszcz powisa
krzykliwy, z leśnego ptactwa,
długi przez cały korytarz,
przez podwórze, aż gdzie gwiazda

Venus. A tyś lot i górnosc
chmur, blask wody i kamienia.
Chciałbym oczu twoich chmurnosc
ocalić od zapomnienia.

სიმღერები



I

სახლის ზღურბლს როცა გადმოაბიჯებ,
ასე მგონია, აგვისტოს ღამე
ფოთლებში შრიალს იწყებს მღუმარე,
შენ წინ მიქრიხარ, ვგრძნობ შენს ნაბიჯებს.

შენთან ჩიტების ვხედავ აჩრდილებს,
აი, შაშვი და აი, წიწკანა...
შენს შუქთაფრქვევას გავუძლებ, განა?
შუქი ამ ღამეს უკუნს აცილებს.

შენ ღამის კოშკის ხარ ორნამენტი
და – წამომდგარი კოშკის თავს მთვარე,
სხივები ისე მიმოაბნიე,
თითქოს და ხორბლით აგვესოს არე.

შენს მხრებს ფრინველთა ფარავს ლაბადა,
იგი გრძელია, გრძელი ძალიან,
მთელ სახლს, მიდამოს, ვარსკლავებს ფარავს.
ამას რომ ვხედავ, გულს უხარია.

შენი ლაბადა აღწევს ვენერას,
შენ თვით სიმაღლე ხარ და მწვერვალი,
მსურს დავიწყებას გადავარჩინო
მაგ თვალთა სევდა დაუვიწყარი.

II

Pochylony nad mym stołem
we wschodzącej zorzy łunie
ręce twoje opisuję,
serce twoje opisuję;

smak twych ust jak morwa cierpki
i głosu pochmurną słodycz,
i uszy tve jak wysepki,
które z dala widział Odys.

Ten obłok jest twoją twarzą,
ten horyzont, ta akacja.
Pióro maczam w kałamarzu
i litery wyprowadzam.

Niech staną rząddek przy rządku
jak ptaki złote i modre,
by z najprawdziwszego wątku
powstał najprawdziwszy portert.

Minął dzień. Wciąż prędzej, prędzej
szybuje czas bez wytchnienia.
A ja chciałbym twoje ręce
ocalić od zapomnienia.

II

კუზივარ მაგიდას ახლა,
აისის მზე მივსებს სულს,
კუმლერი მე შენს ხელებს,
კუმლერი მე შენს გულს.

მწკლარტე თუთასავით ბაგე
და ხმის ღრუბლიანი სიტკბო,
ყურნი იმ კუნძულთა მსგავსი,
რაც რომ ოდისევა იცნო.

ღრუბელს, ამ ჰორიზონტს, ამ ხეს
ვადარებ შენს სახეს მუდამ,
კალამს რომ მელანში ვაწებ,
ასოებს შენს სახელს ვურთავ.

დაე, ასოები იყოს
ოქროს, ლურჯ ფრინველთა მსგავსი,
სწორედ გამოვსახო მინდა შენი სახის ყველა ხაზი.

მირბიან, მირბიან სწრაფად
დღეები დრო-ჟამის მჩენი.
მსურს დავიწყებისგან ვიხსნა
ხელები, ხელები შენი.

III

Ile razem dróg przebytych?
Ile ścieżek przedeptanych?
Ile deszczów, ile śniegów
wiszących nad latarniami?

Ile listów, ile rozstań,
ciężkich godzin w miastach wielu?
I znów upór, żeby powstać
i znów iść, i dojść do celu.

Ile w trudzie nieustannym
wspólnych zmartwień, wspólnych dążeń?
Ile chlebów rozkrajanych?
Pocałunków? Schodów? Książek?

Ila lat nad strof tworzeniem?
Ile krzyku w poematy?
Ile chwil przy Beethovenie?
Przy Corellim? Przy Scarlattim?

Twe oczy jak piękne świece,
a w sercu źródło promienia.
Więc ja chciałbym twoje serce
ocalić od zapomnienia.

III

რამდენი გზა განვლეთ ერთად,
რამდენი ბილიკი ვტკეპნეთ,
რამდენჯერ გვათოვდა ციდან,
ღამის გზას თოვლში რომ ვენდეთ.

რამდენი წერილი ვწერეთ,
როცა გვეყრებოდა გზები,
და კვლავ მოვდიოდით ერთად
და კვლავ ძველებური გზებით.

ერთად პურისჭამა ჩვენი,
ერთი სიხარული, სევდა,
კოცნა, წაკითხული წიგნი...
კიბე ამოვლილი ერთად...

რამდენი თან გაჰყვა გრძნობა
პოემის მღელვარე სტროფებს,
რამდენჯერ ვუსმინეთ ერთად
ბეთჰოვენს, სკარლატის, კორელს...

თვალეები მიგიგავს სანთლებს,
გული კი გაქვს ცეცხლის მჩენი,
მსურს დავიწყებისგან ვიხსნა
ეგ გული, ეგ გული შენი.

IV

Oto jest nasz dzień codzienny,
nasze mały budowanie,
trud uparty i niezmienny,
nieustanne kształtowanie.

